საქართველოს უზენაესი სასამართლოს წლიური ანგარიში ინფორმაციის თავისუფლების შესახებ

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა“ და „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტისა და პროაქტიულად გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2013 წლის 27 დეკემბრის №1/225 გადაწყვეტილების მოთხოვნების შესაბამისად, ასევე, უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ფარგლებში, სასამართლო ყოველ კვარტალში აქვეყნებს საჯარო ინფორმაციის გაცემის სტატისტიკას, ხოლო ყოველწლიურად ათავსებს სტატისტიკურ კრებულს – „მართლმსაჯულება საქართველოში“. საქართველოს უზენაეს სასამართლოში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია განცხადების წარმოდგენით როგორც მატერიალურად, ასევე ელექტრონულად - ოფიციალური ვებგვერდის www.supremecourt.ge მეშვეობით.

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მესამე თავის 49-ე მუხლის თანახმად, წინამდებარე ანგარიშში წარმოგიდგენთ საქართველოს უზენაეს სასამართლოში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსული განცხადებებისა და გაცემული ინფორმაციის შესახებ 12 თვის მონაცემებს.

ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით“ დადგენილი წესით, საქართველოს უზენაეს სასამართლოში 2020 წლის 1 დეკემბრიდან 2021 წლის 1 დეკემბერამდე საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსული განცხადებების შესახებ, კერძოდ:

ა) საქართველოს უზენაეს სასამართლოში შემოსული საჯარო ინფორმაციის რაოდენობის თაობაზე:

2020 წლის 1 დეკემბრიდან 2021 წლის 1 დეკემბრამდე, საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოვიდა 911 განცხადება:

2020 წლის დეკემბერში - 61 განცხადება;

2021 წლის I კვარტალში - 228 განცხადება;

2021 წლის II კვარტალში - 319 განცხადება;

2021 წლის III კვარტალში - 162 განცხადება;

2021 წლის 1 ოქტომბრიდან 1 დეკემბრამდე - 141 განცხადება.

ბ) მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის თაობაზე:

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით საქართველოს უზენაეს სასამართლოში შემოსული განცხადებებიდან:

1. სრულად დაკმაყოფილდა 866 განაცხადი, კერძოდ:

2020 წლის დეკემბერში - 56 განაცხადი;

2021 წლის I კვარტალში - 216 განაცხადი;

2021 წლის II კვარტალში - 307 განაცხადი;

2021 წლის III კვარტალში - 157 განაცხადი;

2021 წლის 1 ოქტომბრიდან 1 დეკემბრამდე - 124 განაცხადი.

2. არ დაკმაყოფილდა 27 განაცხადი, კერძოდ:

2020 წლის დეკემბერში - 1 (განაცხადით მოთხოვნილი ინფორმაცია სასამართლოების მოქმედი სტატისტიკური ანგარიშგების ფორმებით არ იყო გათვალისწინებული);

2021 წლის I კვარტალში - 6 განაცხადი (სამ შემთხვევაში მოთხოვნილი ინფორმაცია სასამართლოების მოქმედი სტატისტიკური ანგარიშგების ფორმებით არ იყო გათვალისწინებული, ხოლო სამ შემთხვევაში მოთხოვნილი ინფორმაცია არ ინახებოდა უზენაეს სასამართლოში);

2021 წლის II კვარტალში - 8 განაცხადი (რვავე შემთხვევაში მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემა არ დაკმაყოფილდა კანონის საფუძველზე);

2021 წლის III კვარტალში - 3 განცხადებაზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, განმცხადებელს დაუდგინდა ხარვეზი და დაევალა შესაბამისი მინდობილობის წარმოდგენა;

2021 წლის 1 ოქტომბრიდან 1 დეკემბრამდე – 12 განაცხადი (ექვს შემთხვევაში მოთხოვნილი ინფორმაცია სასამართლოების მოქმედი სტატისტიკური ანგარიშგების ფორმებით არ იყო გათვალისწინებული, ხოლო ექვს შემთხვევაში მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემა არ დაკმაყოფილდა კანონის საფუძველზე).

<u>3. ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 11 განაცხადი, კერძოდ:</u>

2021 წლის I კვარტალში - 3 განაცხადი (ერთ შემთხვევაში მოთხოვნილი ინფორმაციის ნაწილზე პასუხის გაცემა მიეკუთვნებოდა სხვა ადმინისტრაციულ ორგანოს, შესაბამისად, განცხადება გადაიგზავნა უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში, ხოლო ორ შემთხვევაში მოთხოვნილი ინფორმაციის ნაწილი არ ინახებოდა უზენაეს სასამართლოში);

2021 წლის II კვარტალში - 4 განაცხადი (ოთხივე შემთხვევაში მოთხოვნილი ინფორმაციის ნაწილი სასამართლოების მოქმედი სტატისტიკური ანგარიშგების ფორმებით არ იყო გათვალისწინებული);

2021 წლის III კვარტალში - 1 განაცხადი (მოთხოვნილი ინფორმაციის ნაწილზე პასუხის გაცემა მიეკუთვნებოდა სხვა ადმინისტრაციულ ორგანოს, შესაბამისად, განცხადება გადაიგზავნა უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში.)

2021 წლის 1 ოქტომბრიდან 1 დეკემბრამდე - 3 (ორ შემთხვევაში მოთხოვნილი ინფორმაციის ნაწილზე პასუხის გაცემა მიეკუთვნებოდა სხვა ადმინისტრაციულ ორგანოს, შესაბამისად, განცხადება გადაიგზავნა უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში, ხოლო ერთ შემთხვევაში მოთხოვნილი ინფორმაციის ნაწილი არ ინახებოდა უზენაეს სასამართლოში)

4. მოთხოვნილი საკითხის გადასაწყვეტად, შესაბამის უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს გადაეგზავნა 7 განაცხადი, კერძოდ:

2021 წლის I კვარტალში -3 განაცხადი;

2021 წლის III კვარტალში - 1 განაცხადი.

2021 წლის 1 ოქტომბრიდან 1 დეკემბრამდე -3

მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე ან მასზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მიიღეს შემდეგმა საჯარო მოსამსახურეებმა:

1. სასამართლოს მენეჯერმა - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა

სულ გადაწყვეტილებათა რაოდენობა -3, მათ შორის:

მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე - 3

2. ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის სამდივნოს უფროსმა, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა

სულ გადაწყვეტილებათა რაოდენობა - 255, მათ შორის:

მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე - 255.

3. სამოქალაქო საქმეთა პალატის სამდივნოს უფროსმა, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა

სულ გადაწყვეტილებათა რაოდენობა - 208, მათ შორის:

მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე - 208.

4. სისხლის სამართლის საქმეთა პალატის სამდივნოს უფროსმა, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა

სულ გადაწყვეტილებათა რაოდენობა - 81, მათ შორის:

მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე - 70;

მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ - 3 (არ დაკმაყოფილდა კანონის საფუძველზე);

ნაწილობრივ დაკმაყოფილებაზე - 7

მოთხოვნილი საკითხის გადასაწყვეტად შესაბამის უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში გადაგზავნაზე - 1

5. პლენუმისა და დიდი პალატის სამდივნოს უფროსმა, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა

სულ გადაწყვეტილებათა რაოდენობა - 34, მათ შორის:

მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე - 29.

მოთხოვნილი საკითხის გადასაწყვეტად შესაბამის უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში გადაგზავნაზე - 1

უარი კანონის საფუძველზე - 4

6. მოქალაქეთა მომსახურების ცენტრის უფროსმა, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა

სულ გადაწყვეტილებათა რაოდენობა - 34, მათ შორის:

მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე - 30.

მოთხოვნილი საკითხის გადასაწყვეტად შესაბამის უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში გადაგზავნაზე - 2

უარი კანონის საფუძველზე - 1

ნაწილობრივ დაკმაყოფილებაზე - 1

7. ანალიტიკური განყოფილების უფროსმა, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა

სულ გადაწყვეტილებათა რაოდენობა - 58, მათ შორის:

მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე - 48.

მოთხოვნილი საკითხის გადასაწყვეტად შესაბამის უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში გადაგზავნაზე - 1

ნაწილობრივ დაკმაყოფილებაზე - 6

უარი კანონის საფუძველზე - 3

8. ანალიტიკური განყოფილების სტატისტიკის სექტორის უფროსმა, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა

სულ გადაწყვეტილებათა რაოდენობა - 140, მათ შორის:

მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე - 120.

მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ - 15

ნაწილობრივ დაკმაყოფილებაზე -3

მოთხოვნილი საკითხის გადასაწყვეტად შესაბამის უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში გადაგზავნაზე - 2

9. კანცელარიის უფროსმა, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა

სულ გადაწყვეტილებათა რაოდენობა - 98, მათ შორის:

მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე - 98.

გ) პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმისწარმოების მიზნებისთვის მონაცემების შეგროვებისას, ხელმძღვანელობს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით, ხოლო აპარატის თანამშრომელთა მონაცემები მუშავდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული წესით, შესაბამისად, 2019 წლის 6 დეკემბრიდან 2020 წლის 1 დეკემბრამდე, სასამართლომ პერსონალური მონაცემები გასცა მხოლოდ „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა“ და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ შემთხვევებში და კანონით გათვალისწინებული საფუძვლებით.

დ) „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ დარღვევის თაობაზე დისციპლინური პასუხისმგებლობა საქართველოს უზენაეს სასამართლოში თანამშრომლების მხრიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში არ გამოვლენილა „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-3 თავის მოთხოვნათა დარღვევისა და ამ საფუძვლით პასუხისმგებელ პირებზე დისციპლინური სახდელების დადების ფაქტები.

ე) საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებული საფუძვლები საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას ან/და საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლო ეყრდნობოდა „საქართველოს კონსტიტუციას“, „საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს“ და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონს. საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილებების დაკმაყოფილებაზე უარის თქმა ეფუძნებოდა შემდეგ გარემოებებს:

1. სასამართლოს მოქმედი სტატისტიკური ანგარიშგების ფორმები არ ითვალისწინებდა მოთხოვნილი ინფორმაციის შეგროვებას;

2. განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაცია, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის საფუძველზე, წარმოადგენდა პერსონალური სახის ინფორმაციას და განმცხადებელს, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 44-ე მუხლის მიხედვით, არ წარმოუდგენია იმ პირთა თანხმობა, რომელთა შესახებაც ინფორმაციას ითხოვდა.

ვ) ინფორმაციის გაცემაზე უარის გასაჩივრების თაობაზე ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის თაობაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრდა ერთ შემთხვევაში (საჩივრის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.)